განმცხადებელი : შპს რეალი
თარიღი : 21-07-2021
მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი : პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 5

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : Prime time-ის ჟურნალისტი თამარ ბუჩუკური
სადავო მასალა **:**
https://primetime.ge/franco-fonatana-saqmis-kursshi-ar-aris-rom-saqartveloshi-sakhelit-maghaziebi-funqtsionirebs-skandaluri-tserili-italiidan/?fbclid=IwAR2ITXCh9LrIT4LOQ3Y9nLE2o7uancWTwm1Gw6oIsnoGalHEV4_uVJ8tpJ8

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება:

Primetime საინფორმაციო ვებსაიტზე განთავსდა სტატია სახელწოდებით „Franco Fonatana საქმის კურსში არ არის, რომ საქართველოში მისი სახელით მაღაზიები ფუნქციონირებს (?!) – სკანდალური წერილი იტალიიდან.“ გაცნობებთ, რომ სადავო სტატიაში მოყვანილი ფაქტები არ შეესაბამება სიმართლეს, რითიც მიგვაჩნია, რომ ჟურნალისტმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 1-ლი პრინციპი, რომლის თანახმად, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

აღნიშნული სტატიით, ასევე, დარღვეულია მე-3 პრინციპი, რომლის თანახმად, ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყაროც დადასტურებულია. ასევე, დარღვეულია ქარტიის მე-5 პრინციპი, რომლის თანახმად, მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

სადავო სტატიაში მითითებულია შემდეგი ინფორმაცია „აღმოჩნდა, რომ ოფიციალური ბრენდი Franco Fonatana საქმის კურსში არ იყო, რომ საქართველოში მათი ბრენდის სახელით მაღაზიები ფუნქციონირებს. პირადი შეხვედრის შემდეგ, ელ-ფოსტაზეც გამოვაგზავნინე პასუხი. იტალიის მხარე მზად არის, საქართველოს სასამართლოს კითხვების არსებობის შემთხვევაში უპასუხოს. გაოცებას ვერ მალავდნენ, შოკში ჩავარდნენ და ასევე, განაცხადეს, რომ იტალიაში მათი კლიენტებიც კი არ არიან... საიდან მოაქვთ ის ნივთები, რაც საქართველოში იყიდება, არავინ იცის...“ - რის დასტურადაც, ამავე სტატიაში გამოყენებულია ელ.ფოსტის სქრინი, სადაც არ იკითხება თუ ვისგან არის წერილი მიღებული, არ დგინდება აღნიშნული მეილი გამოგზავნილი არის თუ არა Franco Fontana-ს ოფიციალური ელ.ფოსტიდან, შესაბამისად, დაუდგენელია ინფორმაციის პირველწყარო, რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ჟურნალისტი აღნიშნული სტატიით სრულ, ჭეშმარიტ და ამომწურავ ინფორმაციას არ აწვდის საზოგადოებას, დაუშვებელია მეწარმე სუბიექტის მიმართ გავრცელებული საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობები ემყარებოდეს გაურკვეველ სქრინს, რომლის წარმოშობაც არ არის დადასტურებული და საზოგადოება მოკლებულია შესაძლებლობას თავად გადაამოწმოს იგი. ჟურალისტისთვის ინფორმაციის მოძიების პირველწყარო, პირველ რიგში, უნდა იყოს იმ ბრენდის ოფიციალური საიტი, რომლის მიმართაც ამზადებს სტატიას და ავრცელებს ცილისმწამებლურ ინფორმაციას. Franco Fontana-ს ოფიციალურ ვებსაიტზე მითითებულია ჩვენი მაღაზიების მისამართები, ასევე, სხვა არაერთი წყარო მოწმობს და ადასტურებს ჩვენს თანამშრომლურ ურთიერთობას ამ ბრენდთან წლების განმავლობაში. სტატიაში ასევე გამოყენებულია ეპიზოდი „რაც შეეხება თვითმარქვია Franco Fonatana Georgia-ს, მომავალ კვირას შეხვედრა მაქვს აქ, მილანში ოფიციალური Franco Fonatana-ს იურიდიულ დეპარტამენტთან, სადაც განვიხილავთ საქართველოში ბრენდის სახელის თაღლითურად გამოყენების შესახებ შემდგომ იურიდიულ საკითხს, რადგან მთხოვეს, დამოუკიდებელი ექსპერტის ლუიზა ხარაულის მიერ მომზადებული

ექსპერტიზის იტალიურ ენაზე დასკვნის მიწოდება, სადაც წერია, რომ შავ ბრილიანტებად გაყიდულ ბეჭედში უვარგისი, არასაიუველირო, არაძვირფასი ქვები ზის.“ - როგორც ზემოთ აღინიშნა, სტატიიდან არ ჩანს და ნათლად არ ირკვევა ელ.ფოსტის მისამართი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სტატია არის განზრახ შექმნილი, კომპანიის საქმიანი რეპუტაციის წინააღმდეგ მიმართული, რომელიც შეიცავს აბსოლუტურად მცდარ და დამახინჯებულ ფაქტებს. რაც შეეხება მონაკვეთს „საქართველოში ბრენდის სახელის თაღლითურად გამოყენების შესახებ შემდგომ იურიდიულ საკითხს“ აღნიშნული პირდაპირ და უშუალოდ წარმოადგენს ცილისმწამებლურ ცნობას, რომელიც აბსოლუტურად უსაფუძვლოდ ლახავს ჩვენი კომპანიის საქმიან რეპუტაციას. სტატიაში, ასევე ნახსენებია, რომ იტალიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი იტალიაში არსებულ სათავო ოფისს ეწვია, რაც ასევე არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან Franco Fontana-ს სათავო ოფისი მდებარეობს ბასანო დელ გრაპაში და არა მილანში, შესაბამისად, სტატიაში მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. ამასთან, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სტატია გამოქვეყნებულია 30.06.2021 წელს, ხოლო ოფიციალურად Franco Fontana-ს ოფიციალურ მეილზე შეტყობინება თამარ ბუჩუკურის მიერ გაიგზავნა 01 ივლისს, მას შემდეგ, რაც ჩვენ განვაცხადეთ, რომ სტატიაში მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს, შესაბამისად, დაუდგენელია სტატიაში სქრინად მოყვანილი მიმოწერის ავთენტურობა და გაურკვეველია თუ ვისი ოფიციალური ელ.ფოსტიდან გაეგზავნათ ინფორმაცია იტალიურ ენაზე.